ხელშეკრულება №2023/58

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. ბათუმი **22 ივნისი 2023 წელი**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, შემდგომში წოდებული „შემსყიდველ ორგანიზაციად“, წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, მერაბ ჯოჯუას სახით და **სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“,** შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის, დავით გიორგობიანის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ – პირი (ორგანიზაცია), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ – წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ინსპექტირება“ – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი (შესყიდვის ობიექტი)

2.1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ბალანსზე რიცხული 1 (ერთი) ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების (HYUNDAI SANTA FE სახ. ნომერი GB-727-GB) ტექნიკური მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების და საცხებ-საპოხი მასალის სახელმწიფო შესყიდვა (CPV - 50110000).

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1705.00 (ერთი ათას შვიდას ხუთი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადს.

მუხლი 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ან/და მისი ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტის (ანგარიშფაქტურა, საგადახდო დოკუმენტი) წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

4.3. დაფინანსების წყარო: 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

მუხლი 5. მიღება - ჩაბარების წესი

5.1. გაწეული მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით დადასტურებული დეფექტური აქტების და ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 6. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადები

6.1. მომსახურებს გაწევის ადგილია მიმწოდებლის ავტოტექნიკური მომსახურების სერვისცენტრები.

6.2. მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. დროის ამ მონაკვეთში მომსახურება უნდა განხორციელდეს შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად.

მუხლი 7. მხარეთა ვალდებულებები და უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება;

ბ) მომსახურების გაწევის დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

ბ) უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების პროცესს.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში და ადგილას გაუწიოს შემსყიდველ ორგანიზაციას მომსახურება, რომელიც შეესაბამება „დანართი №1-ში“ განსაზღვრულ ტექნიკურ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურებას მიანიჭოს პრიორიტეტი, რაც გულისხმობს მათ რიგგარეშე და დაუყონებლივ მომსახურებას.

მუხლი 8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

8.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ეკონომიკური დეპარტამენტის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - ვაჟა სამნიაშვილი.

8.3. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების (გასაწევი ან/და გაწეული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და ვალდებულების შესრულების ვადების) კონტროლს.

8.4. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი ორგანიზაცია იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება განხორციელდება წერილობით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე და ძალაში შევა ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის კვალიფიციური ელ. ხელმოწერით ან კვალიფიციური ელ. შტამპით დადასტურების შემდეგ.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან;

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი კვალიფიციური ელ. ხელმოწერით ან კვალიფიციური ელ. შტამპით დადასტურების დღიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება განხორციელდება წერილობით და ძალაში შევა ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერის შემდეგ.

14.4. დანართი №1 (ავტომობილის გეგმიური მომსახურების ღირებულების ცხრილი) თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი ორგანიზაცია:

სახელწოდება: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. №8-10
საიდენტიფიკაციო კოდი: 203840175
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22
ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022
ტელეფონის ნომერი: 27 66 49

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი: მერაბ ჯოჯუა

Merab Jojua 01030002387
Digitally signed by Merab Jojua
Date: 2023.06.22 16:12:29

მიმწოდებელი:

იურიდიული ფორმა და დასახელება: სს ,,ჰიუნდაი ავტო საქართველო“
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ
საიდენტიფიკაციო კოდი: 204478948
მომსახურე ბანკის დასახელება: სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: GE96TB0600000360200182

სს ,,ჰიუნდაი ავტო საქართველო“-ს
პრეზიდენტი: დავით გიორგობიანი

HYUNDAI AVTO GEORGIA JSC
Digitally signed by HYUNDAI AVTO GEORGIA JSC
Date: 2023.06.22 16:47:00 +04'00'

დანართი №1

ავტომანქანის დასახელება HYUNDAI SANTA FE 2.2 Diesel

№	სათადარიგო ნაწილების დასახელება	განზომილება	ერთეულის ფასი	მომსახურება	2000 კმ	10000 კმ	18000 კმ	სულ ჯამი
1	ძრავის ზეთის ხარჯი (6 ლიტრი)	ლიტრი	40.0		240.0	240.0	240.0	720.0
2	ძრავის ზეთის ფილტრის ხარჯი	ცალი	60.0	20.0	80.0	80.0	80.0	240.0
3	ჰაერის ფილტრის ხარჯი	ცალი	80.0			80.0		80.0
4	კონდიციონერის (სალონის) ფილტრის ხარჯი	ცალი	120.0	10.0			130.0	130.0
5	წინა ხუნდების ხარჯი	კომპ.	510.0	25.0			535.0	535.0
	ჯამი ლარში:				**320.0**	**400.0**	**985.0**	**1705.0**